ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №-02

2011 წლის 28 იანვარი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის „სოფლების წყალსადენის სისტემის მოვლა –შენახვის მიზნობრივი პროგრამის" დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 16 დეკემბრის №26 დადგენილებით დამტკიცებული ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესაბამისად დამტკიცდეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის „სოფლების წყალსადენის სისტემის მოვლა – შენახვის მიზნობრივი პროგრამა" თანახმად დანართისა.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს (ე.ბაგრატიონი).

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№-30).

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ნ. ბერაძე